დანართი No. 1.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2023-05-23

დასკვნის წარდგენის თარიღი 2023-06-27

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 14

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 21

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 24

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 32

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ [1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:	ალინა კატუნიანი, ვილნიუსის კოლეჯი/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ლიეტუვა
წევრი (დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (თამთა ცხოვრებაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო)	თამთა ცხოვრებაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (დავით ტეფნაძე, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო)	დავით ტეფნაძე, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Tourism and Hospitality Management
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-

[2]თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

[3](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო სასწავლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, ყოველი სასწავლო წელი დაყოფილია ორ სემესტრად. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ნამდვილად აკმაყოფილებს მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროს მოთხოვნებს. პროგრამა განხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციისა და კვლევითი პოტენციალის მქონე 19 აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტის თარიღი იყო 2023-05-23. ადგილზე ვიზიტის დროს გაიმართა შეხვედრები ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და შესაბამისი სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წარმომადგენელთან. ობიექტების დათვალიერებისას წარმოდგენილი იყო ძირითადი რესურსები და შესაძლებლობები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ზოგადად ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტების მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები რეალისტური და მიღწევადია; სასწავლო პროგრამის შინაარსი აქტუალურია; სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა მოთხოვნებთან შესაბამისობაშია; პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური პირებისაგან, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი კომპეტენციები, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში; პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სერვისებს.

● პირველი სტანდარტი: შეესაბამება მოთხოვნებს;

[4]პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

● მეორე სტანდარტი: შეესაბამება მოთხოვნებს;

● მესამე სტანდარტი: შეესაბამება მოთხოვნებს;

● მეოთხე სტანდარტი: შეესაბამება მოთხოვნებს;

● მესამე სტანდარტი: შეესაბამება მოთხოვნებს;

- **რეკომენდაციები**
  - პროგრამის მდგრადი განხორციელების მიზნით, რეკომენდებულია აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
  - მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროში კვლევებისა და პუბლიკაციების გაძლიერება.
  - სასწავლო პროგრამის გამდიდრება ტურიზმისა და მასპინძლობის დაჯავშნის სისტემ(ებ)ის სასწავლო პროგრამული უზრუნველყოფით.
  - მკვლევარ კოლეგებთან ერთად, ორგანიზაციის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, აქტიური მონაწილეობა კვლევით საქმიანობაში, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება.
  - სასწავლო პროგრამის განვითარების მიზნით, შეიძლება ისეთი სქემის შექმნა, რომელიც უფრო მეტ მაგისტრანტს მისცემს საშუალებას ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში, უნივერსიტეტის სასწავლო პერსონალთან ერთად.
  - სასურველია დაიგეგმოს და მოტივაცია მიეცეს პერსონალს, რომ აქტიურად იმუშაონ კვლევებზე მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროს მიმართულებით, რათა შეიქმნას შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომები და შესაძლებელი იყოს კვლევაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება.
  - სამომავლოდ, პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია ტურიზმისა და მასპინძლობის ლაბორატორიის შექმნაზე დაფიქრება, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს ტურიზმისა და მასპინძლობის სტარტაპების, ტურიზმის კვლევის, სექტორში ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობისთვის.
  - სასურველია გათვალისწინებულ იქნეს აკადემიური პერსონალის სამოტივაციო სისტემა, რომელიც გაზრდის სამეცნიერო პროდუქტიულობას მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

[5]პრაქტიკა, რომელიც გამორჩეულად ეფექტურია და რომელიც შეიძლება გახდეს საორიენტაციო ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამებისთვის.

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების შესახებ**

უნივერსიტეტი ეთანხმება და იზიარებს ექსპერტების მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს აფილირებული პერსონალის რაოდენობის, მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროში კვლევების გაძლიერების და სასწავლო პროგრამის გამდიდრების გათვალისწინებით.

- **ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მიღწევების ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლაში შემუშავდა. პროგრამას აქვს ოთხი კონკრეტული მიზანი, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც მიღწევადი. პირველი მიზანია ტურიზმისა და მასპინძლობის შესახებ სიღრმისეული ცოდნის მიწოდება და დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესება, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე; მეორე მიზანი ემსახურება ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში პროფესიული უნარების განვითარებას კვლევაზე ორიენტირებული სწავლების დანერგვით. მესამე მიზანი არის პროფესიონალების გამოშვება, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან მასპინძლობისა და ტურისტული ოპერაციების რთულ გარემოში სამართავად საჭირო ცოდნითა და უნარებით. მეოთხე მიზანი ემსახურება, მონაცემთა ანალიზისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის გზით, პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას.

პროგრამის მიზანი მკაფიოდ განსაზღვრულია. მიზნიდან ჩანს, რომ პროგრამა ორიენტირებულია კვალიფიციურ კადრებზე, რომლებსაც ექნებათ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში. მიზანი შეესაბამება უსდ-ს მისიას, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს. პროგრამის ინტერნაციონალიზაცია შეტანილია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში, სადაც ინტერნაციონალიზაცია გაცხადებულია პრიორიტეტულ მიმართულებად. მოცემული პროგრამა საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;

- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.1 პროგრამის მიზნები	☑			

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას აქვს 8 სწავლის შედეგი. პროგრამის სწავლის შედეგები სწავლებადია. სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოიყენება მოქმედებითი ზმნა. თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვრება შეფასების ინდიკატორები. სწავლის შედეგები რეალისტური და მიღწევადია, რადგან უნივერსიტეტს აქვს საკმარისი ადამიანური და ფიზიკური რესურსი სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, სილაბუსში გამოყენებული ლიტერატურის ჩათვლით, იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას. სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულია ტურიზმის სფეროს დარგობრივი მახასიათებლები და ისინი ეფუძნება კვალიფიკაციების ჩარჩოს. ასევე გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები და შეესაბამება კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.

სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის კავშირი, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესი (შესავალი, განვითარების კურსები, პრაქტიკული კურსები, სამაგისტრო კურსები)

მოცემულია სწავლის შედეგების რუკის მეშვეობით და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებმა გვაჩვენა, რომ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და პერსონალი მეტ-ნაკლებად ჩართული იყვნენ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებ-საიტი: https://www.cu.edu.ge/ka
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☑			

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი მექანიზმი, რომელიც შემუშავებულია თავისი დებულებისა და აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. უნივერსიტეტისა და სკოლის დონეზე არსებული ხარისხის უზრუნველყოფის

განყოფილებები ეყრდნობიან მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სათანადო პროცედურებს, რომლებიც ხორციელდება მკაფიო პროტოკოლით. შეფასების ჯგუფი შედგება სხვადასხვა როლების მქონე წევრებისგან, რაც უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებასა და ყოვლისმომცველობას. მეთოდები, მათ შორის რეგულარულად გამოყენებადი პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმები, სავსებით მისაღებია.
უკუკავშირის სქემები საკმარისია და კარგად არის შემუშავებული. პროგრამას აქვს შესაბამისი კრიტერიუმები თითოეული სწავლის შედეგისთვის. უსდ უზრუნველყოფს შედეგების რეგულარულ შეფასებას და მონიტორინგს და წინასწარ განსაზღვრულ ნიშნულებთან შედარებას. ასევე მოქმედებს პროცედურა, რომელიც მოიცავს შეფასების შედეგებს პროგრამის სათანადო გაუმჯობესებისთვის. შეფასების სქემა მოიცავს კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებს, პროგრამის ყველა სავალდებულო კურსსა და კვლევის კომპონენტს შორის.
პროგრამის პერსონალი იღებს დახმარებას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის საჭირო უნარების გამომუშავებაში; სასწავლო კურსით/კვლევითი კომპონენტით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გათვალისწინებულია სასწავლო კურსისა და კვლევითი კომპონენტის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგის პროცესი ეფუძნება თითოეული სასწავლო კურსის შესაბამისი სწავლის შედეგის შეფასებას, განსაზღვრავს იმ კომპონენტებს, რომლებიც გამოყენებული იქნება ამ პროცესის დროს, ანუ ქუიზებს, ტესტებს, შუალედური გამოცდას, ესეს, პრეზენტაციას, დასკვნით გამოცდას. რაც შეეხება არაპირდაპირ მექანიზმებს, პროგრამასთან დაკავშირებული მონაცემები (ჩარიცხვა, მობილობა და დამთავრების მაჩვენებლები, დასაქმების მაჩვენებლების დინამიკა) შეგროვდება და ყოველწლიურად ჩატარდება ყველა დაინტერესებული მხარის გამოკითხვა. შესაბამისად, სათანადოდ არის გათვალისწინებული თანმიმდევრულობა და პერიოდულობა, ასევე სწავლის სფეროს და განათლების დონის თავისებურებები. უსდ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ხარისხის უზრუნველყოფის გამოკითხვები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☑

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა, მოცულობა და სირთულე შეესაბამება განათლების დონეს; იგი აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად;

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი, 120 ECTS მოცულობით. ერთი სასწავლო წელი მოიცავს 2 სემესტრს.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სავალდებულო კურსები - 75 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი, არჩევითი კურსი - 15 კრედიტი. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, სასწავლო კურსები ლოგიკურად არის განაწილებული სემესტრების მიხედვით. სავალდებულო კურსები წარმოდგენილია ტურიზმისა და ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული საგნებით, როგორიცაა მასპინძლობა და სტუმრების სერვისების მენეჯმენტი, სტრატეგიული მარკეტინგი მასპინძლობასა და ტურიზმში, დანიშნულების ადგილის მენეჯმენტის პრინციპები, ღონისძიებების ადმინისტრირება, კვების სერვისების ოპერაციების მართვა, მასპინძლობის/ტურიზმის საინფორმაციო ტექნოლოგიები, მეწარმეობა მასპინძლობის ინდუსტრიაში, კრიტიკული ადამიანური რესურსების საკითხები მასპინძლობის ინდუსტრიაში, ფინანსური ანალიზი. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს სთავაზობენ სტაჟირებას ინდუსტრიაში. პროგრამის ფარგლებში ასევე ისწავლება აკადემიური წერის ტექნიკა და კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. აღნიშნული კურსების სწავლება დაეხმარება მაგისტრანტებს სამაგისტრო ნაშრომის ეფექტურად შესრულებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- კურიკულუმის რუკა;
- ვებგვერდი https://www.cu.edu.ge/ka
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☑			

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შეიძლება ითქვას, რომ აკადემიური საგნების შინაარსი და მოცულობა ცალკეულად და ერთად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეულ საგანზე გამოყოფილია 5 ECTS კრედიტი, ლექციებისა და სემინარების შესაბამისი საათებით. სწავლის შედეგების მისაღწევად საგნები რაციონალურად ნაწილდება სემესტრებს შორის. აკადემიური საგნები მოიცავს მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროს და აკმაყოფილებს გლობალური ტურისტული ბაზრის ტენდენციებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, განსაკუთრებით მასპინძლობის სექტორში. ადგილზე ვიზიტის შემდეგ შეიძლება განვაცხადოთ, რომ სასწავლო მასალები განახლებულია და უზრუნველყოფს ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. შინაარსისა და სტრუქტურის ანალიზისას შეიძლება ითქვას, რომ რესურსები არის საკმარისი და განახლებული, კარგად შეესაბამება კურსის შინაარსს და მიზნებს, მათ შორის ლიტერატურასა და წყაროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- ბრძანება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☑			

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას, სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პროცედურა შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას და უნივერსიტეტის დებულებებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, საგანმანათლებლო საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან. პროგრამისა და თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, მისაღები მოთხოვნები მოიცავს ერთიანი სამაგისტრო გამოცდისა და გასაუბრების შედეგებს. გასაუბრების ფორმატი განისაზღვრება კავკასიის ტურიზმის სკოლის საბჭოს მიერ დადგენილი წესით. საუნივერსიტეტო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები და პროგრამაზე ჩარიცხვისთვის საჭირო ინფორმაცია წინასწარ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. მენეჯმენტმა დაარწმუნა ექსპერტთა ჯგუფი, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იქნება ხელმისაწვდომი და საჯარო, როდესაც პროგრამა მიიღებს აკრედიტაციას.
პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დადასტურება, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის წარმატებით ჩაბარებით. ფიზიკური პირი შეიძლება გათავისუფლდეს ამ გამოცდიდან, ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები ასევე განისაზღვრება მობილობისა და საერთაშორისო სტუდენტებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით.
უსდ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის მახასიათებლებს და დაწესებულების რესურსებს, ასევე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ ადმინისტრირებას. ასევე განისაზღვა პირველი მისაღები ნაკადის კვოტა – 10-15 სტუდენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- ვებ-გვერდი: www.cu.edu.ge;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☑			

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ეს დასტურდება სხვადასხვა მახასიათებლით. კერძოდ, ტურიზმის სექტორში სტაჟირება პროგრამის სავალდებულო კომპონენტად განიხილება. უნივერსიტეტმა ხელი მოაწერა მემორანდუმებს, რომელთა ფარგლებშიც, ორგანიზაციები მზად არიან სტუდენტები და კურსდამთავრებულები მიიღონ სტაჟირებაზე. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სტუდენტები პრაქტიკულ უნარებს იძენენ ტურისტულ კომპანიებში, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში, ტურისტულ სააგენტოებში, სასტუმროებში, მუზეუმებში. პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება პროგრამის სხვადასხვა კურსი, შემთხვევების შესწავლისა და პროექტების შესრულებით გზით.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც ემსახურება კვლევითი უნარების განვითარებას და შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს წარმოაჩინოს სწავლების პროცესში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

კავკასიის ტურიზმის სკოლაში ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა არაპროგრამული აქტივობა, როგორიცაა სამეცნიერო კვლევითი კონფერენციები. კონფერენციის მიზანია სტუდენტებისთვის ამ მიმართულებით საჭირო უნარების მიწოდება, სტუდენტების წახალისება მომავალში სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში ჩაერთონ; მიუხედავად იმისა, რომ კვლევის უნარების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტი ატარებს გარკვეულ აქტივობებს, სტუდენტების ჩართულობა კვლევის პროცესში სუსტია და საჭიროებს გაძლიერებას.

სკოლის ფარგლებში იმართება საქმიანი თამაშების კონკურსები, რომელშიც მონაწილეობენ ტურიზმის სკოლის სტუდენტები. მაგალითად, კავკასიის ტურიზმის სკოლის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ კონკურსში „სტუდენტური ლიგა“, სადაც მიღებულ ცოდნას იყენებენ კონკრეტული გამოწვევების დასაძლევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☑			

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები;

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის თითოეული აკადემიური კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს. კურსის განხორციელების პროცესში, სწავლის შედეგების მისაღწევად სწავლის შესაბამისი შემდეგი სწავლა-სწავლების მეთოდები გამოიყენება: ვერბალური, ზეპირი, წერილობითი, დემოსტრირების მეთოდები, დისკუსია/დებატები, ჯგუფური (თანამშრომლობითი) მუშაობა, შემთხვევის შესწავლა, როლური და სიტუაციური თამაშის, ახსნა-განმარტების, ასევე პრაქტიკული მეთოდები და ა.შ. სწავლებისა და სწავლის პროცესში, გამოყენებული მეთოდები ერთმანეთს ავსებს. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლა/სწავლების მეთოდები მოცემულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, თითოეული აკადემიური კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეირჩევა შესაბამისი სასწავლო მასალის შინაარსისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით. სწავლებისა და სწავლის კონკრეტული მეთოდები დეტალურად არის წარმოდგენილი კურსების სილაბუსებში მათი შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და მიმართულია სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარის, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, რომელიც ხელს უწყობს მათი კვლევითი უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- სილაბუსი;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	☑			

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სტუდენტების შეფასების სქემა რეალისტური და მიღწევადია, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშით, პროგრამით, სილაბუსებით და ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებებით. შეფასების სისტემა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. თითოეული კურსის ფარგლებში, თითოეულ სილაბუსში წარმოდგენილი და აღწერილია სტუდენტთა შეფასების ინდივიდუალური მეთოდები, ფორმები და კომპონენტები და აგრეთვე, კურსის მიზნებისა და იმ სწავლის შედეგების შეფასება, რომლებიც მიიღწევა კონკრეტული გაზომვადი კრიტერიუმებითა და რუბრიკებით.

სტუდენტები ფასდებიან ორი ტიპის შეფასების მიხედვით: შემაჯამებელი და განმავითარებელი. შემაჯამებელი შეფასების მიზანია სტუდენტის შედეგების ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით სწავლის ხარისხისა და სტუდენტის მიღწევის დონეს. განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია სტუდენტის განვითარებაზე. ის სტუდენტებს აძლევს შესაბამის უკუკავშირს მათი მიღწევების შესახებ.

შეფასების სისტემა მოიცავს 100 ქულას და ითვალისწინებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა.ა) (A) ფრიადი– 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან; ა.გ) (G) კარგი – 71-80 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან; ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან; ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს სჭირდება მეტი მუშაობა და უფლება აქვს კიდევ ერთხელ გავიდეს გამოცდაზე დამოუკიდებლად მუშაობის შემდეგ;

ბ.ბ) (F) – ჩაიჭრა– 40 ქულა ან ნაკლები მაქსიმალური შეფასებიდან, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის ნამუშევარი არასაკმარისია და მან ხელახლა უნდა გაიაროს კურსი. სტუდენტებს ენიჭებათ კრედიტები საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც მოიცავს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევა ითვალისწინებს შუალედურ და საბოლოო შეფასებებს, რომლისთვისაც გამოიყოფა ფარდობითი პროპორციები საერთო ქულიდან (100 ქულა) და მინიმალური კომპეტენციის დონე. კერძოდ, 100 ქულიდან, შუალედური შეფასებისთვის განკუთვნილია 70 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდისთვის 30 ქულა. შუალედურ შეფასებებში მინიმალური კომპეტენციის ბარიერია 59%. შუალედური შეფასება მოიცავს შეფასების კომპონენტებს, რომელთა ჯამი 70 ქულაა. თითოეული შეფასების კომპონენტისთვის შეფასება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ სწავლის მიზნებს, დავალებაზე ორიენტირებულ მკაფიო კრიტერიუმებს და მათ საფუძველზე შედგენილ სასწავლო რუბრიკებს. შუალედურ შედეგებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 70 ქულის არანაკლებ 59%, რათა დაუშვან დასკვნით გამოცდაზე. სტუდენტის დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულია, თუ იგი დააგროვებს 30 ქულის 60%-ს მაინც.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ბარიერს, მას ეძლევა საშუალება ხელახლა გაიაროს დასკვნითი გამოცდა. სტუდენტს შეუძლია ხელახლა ჩააბაროს დასკვნითი გამოცდა აკადემიური კალენდრით დადგენილ ვადაში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ჯამში დააგროვებს 0-50 ქულას ან ვერ გადალახავს შეფასების ნებისმიერი ფორმისთვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ბარიერს (შუალედური/ფინალური გამოცდა), იგი მიიღებს შეფასებას „F-0“.

გასაუბრებისას სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათი შეფასება ეფუძნება ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. ხოლო კითხვების ან გაუგებრობის შემთხვევაში, მათ საშუალება აქვთ გაეცნონ თავიანთ ტესტს ან საგამოცდო ნაშრომებს, მიიღონ პასუხები პროფესორების/აკადემიური პერსონალისგან და საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასება. ამასთან, უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას მიმართოს სკოლას საჩივრების კომისიის შექმნის და გონივრული ეჭვის შემთხვევაში, შესაბამისი პროცედურების დაწყების მიზნით. გამოცდების ჩატარების შესახებ პროცედურა უნივერსიტეტის დებულებაშია გაწერილი. სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ კონსულტაცია პროფესორებთან/აკადემიურ პერსონალთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ან სატელეფონო ზარის/ელ.ფოსტის საშუალებით.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება არის ერთჯერადი და მრავალკომპონენტიანი. ნაშრომი ფასდება კოლეგიური შეფასების გზით, კომისიის მეშვეობით. შეფასება ეფუძნება 4 კრიტერიუმს:

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასთან, შეფასების პროცედურებთან და კრიტერიუმებთან დაკავშირებული მოთხოვნები ნათლად არის ჩამოყალიბებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის დებულებაში. უნივერსიტეტი სტუდენტების შეფასებისას იყენებს აკადემიური და კვლევითი ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმებს. ყოველი ნაშრომი უნდა შემოწმდეს პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის პროგრამაში - „ტურნიტინი“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები;
- დებულება გამოცდების ჩატარების შესახებ;
- დებულება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

2.4. სტუდენტების შეფასება	☑

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტს აქვს სტუდენტების განვითარებასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სხვადასხვა სტუდენტური სერვისი. სტუდენტები ჩართულნი არიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ყოველდღიურ ცხოვრებაში და წარმოდგენილნი არიან გადაწყვეტილების მიმღებ ერთეულებში. თვითშეფასების ანგარიშიდან და ადგილზე ვიზიტიდან მივიღეთ ინფორმაცია, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები იყვნენ პროგრამის განვითარებისა და თვითშეფასების ჯგუფის წევრები. ინტერვიუს დროს, მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი პროგრამის შეფასების პროცესში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა გზით, როგორებიცაა: აკადემიური/მოწვეული პერსონალის, პროგრამის სტრუქტურის, ადმინისტრაციის და ა.შ. შეფასება. შეფასების ჯგუფმა შეძლო შეემოწმებინა ელექტრონული პლატფორმა (LMS), სადაც სტუდენტები იღებენ იმ კითხვარებს, რომლითაც აფასებენ პროფესორებს/აკადემიურ პერსონალს, ხოლო პროცესის დასრულების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და აკადემიური პერსონალი, იღებს უკუკავშირს. ელექტრონული პლატფორმა (LMS) აღჭურვილია სხვა შესაძლებლობებით. სტუდენტები რეგისტრირდებიან ჯგუფებში, იღებენ სემესტრის ცხრილს, ამოწმებენ სწავლის

პროგრესს და იყენებენ მას ადმინისტრაციასთან ან სასწავლო პერსონალთან კომუნიკაციის საშუალებად.

უნივერსიტეტში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, კავკასიის უნივერსიტეტში, სტუდენტებს აქვთ საორიენტაციო შეხვედრა, სადაც ისინი ეცნობიან უნივერსიტეტის რეგულაციებს და პროგრამას. მარტივი კომუნიკაციისთვის თითოეულ სტუდენტს აქვს თავისი პირადი კორპორატიული ელექტრონული ფოსტა, სადაც იღებს ინფორმაციას სასწავლო პროცესთან და არაპროგრამულ აქტივობებთან დაკავშირებულ სხვადასხვა მოვლენაზე. გასაუბრებისას სტუდენტებმა გამოთქვეს ზოგადი კმაყოფილება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიმართ, განსაკუთრებით აკადემიური მენეჯერების მიმართ, რომლებიც სპეციალურად დანიშნული პერსონალია, რათა დაეხმარონ სტუდენტებს სასწავლო პროცესში და ხელი შეუწყონ სასწავლო პერიოდში გამოვლენილი სხვადასხვა გამოწვევის გამკლავებაში.

გარდა აკადემიური პროცესებისა, სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტში, სპორტულ აქტივობებში (აკრედიტაციის ვიზიტის დღეს უნივერსიტეტის პრეზიდენტმა გახსნა კავკასიის უნივერსიტეტის საფეხბურთო თასის ჩემპიონატი), კავკასიის უნივერსიტეტის ან სხვა დაწესებულებების მიერ შემოთავაზებულ ექსკურსიებში. სტუდენტებმა გაიხსენეს გამოცდილება სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ ადგილებში განხორციელებული ექსკურსიების შესახებ, რათა შექმნოდათ წარმოდგენა მათი მომავალი პრაქტიკული სამუშაოების შესახებ. უნდა აღვნიშნოთ, რომ დამსაქმებლებმა გამოთქვეს სტუდენტების სტაჟირების სურვილი. ეს პრაქტიკა ოფიციალურად მოქმედებს უმაღლეს სასწავლებელსა და კომპანიებს შორის გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, ხოლო კარიერის განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ.

სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში პარტნიორ უნივერსიტეტებთან, არა მხოლოდ Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, არამედ კავკასიის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. გაცვლითი პროგრამები მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტის დებულება;
- კარიერის განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის დებულება;
- სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის დებულება;
- განათლების მონიტორინგისა და სტუდენტთა მომსახურების დეპარტამენტის დებულება;
- სწავლის პროცესის მართვის სისტემა;
- მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები	☑			

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტმა შეიმუშავა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ დებულება, რომელიც არეგულირებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ყველა დეტალს. წესი ასევე აღწერს თემის ხელმძღვანელის ფუნქციებსა და მოვალეობებს. თითოეულ მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს სასწავლო თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სამაგისტრო ნაშრომის დასამტკიცებლად, სტუდენტი მიმართავს ფაკულტეტის დეკანს სამაგისტრო ნაშრომისთვის რეგისტრაციიდან 2 კვირის ვადაში, სპეციალური წერილობითი ან ელექტრონული განაცხადის ფორმის საშუალებით, ამის შემდეგ ხელმძღვანელს აქვს მუდმივი კონსულტაციები სტუდენტთან, ჯამში 20 საათი. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია სტუდენტის საჭიროებებზე. ამ პროცესის განმავლობაში, სტუდენტი იღებს რჩევებს საკვლევ თემაზე, მეთოდოლოგიაზე, ნაშრომის დაწერისა და პრეზენტაციის მომზადების მოთხოვნებსა და სპეციფიკაზე.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი (საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი) შეიძლება იყოს კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი - პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ტურიზმის სკოლიდან, ასევე უნივერსიტეტის სხვა სკოლებიდან. ნაშრომის ხელმძღვანელი ასევე შეიძლება იყოს მოწვეული ლექტორი სხვა უნივერსიტეტიდან ან შესაბამისი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე პირი სხვა დაწესებულებიდან.

ნაშრომის დაცვამდე სკოლა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის დახმარებით ამოწმებს წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომს პლაგიატსა და ტექსტის დამთხვევაზე. პლაგიატი აკრძალულია და თუ ტექსტის დამთხვევა აღემატება 10%-ს (დანართების ჩათვლით), სტუდენტმა აღნიშნული ნაკლი სამი დღის ვადაში უნდა აღმოფხვრას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☑			

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის პერსონალის მახასიათებლები წარმოადგენს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის კარგ შერწყმას, მაღალი პოტენციალით. პედაგოგიური პერსონალი აკმაყოფილებს საკანონმდებლო მოთხოვნებს, ფლობს მაგისტრის ან დოქტორის ხარისხს შესაბამის სფეროში. გუნდის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება შეფასდეს, როგორც ტურიზმის სფეროს ცნობილი პრაქტიკოსები. ძლიერი პრაქტიკული ორიენტაცია შეიძლება ჩაითვალოს პროგრამის სიძლიერედ. პარტნიორი, ცენტრალური ფლორიდის უნივერსიტეტის, ლექციები ამდიდრებს პედაგოგიურ პერსონალს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული გამოცდილებითა და საერთაშორისო მიდგომით.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი ავლენს ცოდნას, გამოცდილებას და სფეროსადმი ერთგულებას, ძლიერი საერთაშორისო მიდგომით. ასევე შეიძლება ითქვას, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
ჯგუფის წევრებისთვის სასარგებლო იქნება მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროში კვლევებისა და პუბლიკაციების გაძლიერება, ორგანიზაციის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მკვლევარ კოლეგებთან ერთად კვლევით საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება. პოტენციური პერსონალის პუბლიკაციების შესწორებული მონაცემები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ დონე კარგია, თუმცა საჭიროა მეტი თანმიმდევრულობა და ყოველწლიური კვლევის შედეგები, რომ თავიდან ავირიდოთ მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროს კვლევებში დიდი შუალედები.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

			დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	**6**	**9**	**5**	**1**
- პროფესორი	4	2	2	1
ასოცირებული პროფესორი	1			
- ასისტენტ–პროფესორი	1	1		
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	13	6	3	
სამეცნიერო პერსონალი				

ცხრილში მითითებულია, რომ პროგრამა ხორციელდება 19 აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით. 6 მათგანი არის აკადემიური პერსონალი, აქედან 4 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ პროფესორი. დარჩენილი 13 თანამშრომელი არის მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების შესწავლისას ირკვევა, რომ 3 მათგანი ფლობს სპეციალიზებულ ცოდნას სექტორში. ანალოგიურად, მოწვეული პერსონალიდან 6 პირს აქვს დარგის შესაბამისი აკადემიური გამოცდილება, მათგან 3 დოქტორის წოდებას ფლობს. გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფილია 1 აფილირებული პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის წესი;
- პროგრამის მენეჯერის დამტკიცების ბრძანება;
- უნივერსიტეტის რეგულაციები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის მდგრადი განხორციელების მიზნით, რეკომენდებულია აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროში კვლევებისა და პუბლიკაციების გაძლიერება.
- მკვლევარ კოლეგებთან ერთად, ორგანიზაციის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, აქტიური მონაწილეობა კვლევით საქმიანობაში, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება.

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1. ადამიანური რესურსი		☑		

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრანტებს ექნებათ უნიკალური შესაძლებლობა, შეარჩიონ ამერიკელი და ქართველი პროფესორები, რომლებსაც აქვთ კვლევის 5 წლიანი გამოცდილება. საბოლოო ნაშრომის მომზადებისა და წარდგენის პროცედურა შეიძლება შეფასდეს, როგორც ნათელი და შესაბამისი. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის მოწოდებული სქემა ჩანს შესაფერი სამაგისტრო საფეხურის პროგრამისთვის: სავარაუდო ნაშრომი, თემა და სამაგისტრო ნაშრომის მოსალოდნელი სტრუქტურა, კვლევის დიზაინი (საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა/ჰიპოთეზები, სავარაუდო თეორიული ჩარჩო, კვლევის მეთოდოლოგიის მონახაზი); საწყისი კვლევის მონახაზი (რა ტიპის კვლევაა, სად და როდის ჩატარდება, ვინ იქნება სამიზნე ჯგუფი და ა.შ.), ასეთის არსებობის შემთხვევაში; საკვლევ თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის მონახაზი; ბიბლიოგრაფია. საბოლოო ნაშრომი განიხილება ხელმძღვანელის მიერ, ყველა საჭირო რეკომენდაციის გაცემითა და დახმარებით. უახლესი ცოდნით აღჭურვილი მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებს მონაწილეობა აქვთ მიღებული სამეცნიერო კვლევებსა და პროექტებში.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	**5**	**5**	**1**
- პროფესორი	4	2	
- ასოცირებული პროფესორი	1		
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			
სამეცნიერო პერსონალი			

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური პერსონალის პირადი დოკუმენტები;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ დებულება;
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასწავლო პროგრამის განვითარების მიზნით, შეიძლება ისეთი სქემის შექმნა, რომელიც უფრო მეტ მაგისტრანტს მისცემს საშუალებას ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში, უნივერსიტეტის სასწავლო პერსონალთან ერთად, რაც შექმნის პირობებს კვლევის კომპეტენციის განვითარებისთვის, უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში ახალი ტალანტების მოზიდვისთვის.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☑			

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
➢უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო/კვლევით მუშაობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის მიერ შექმნილი კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს და კოორდინაციას უწევს კვლევების ხელშეწყობისკენ მიმართულ აქტივობებს, ეხმარება ინტერნაციონალიზაციის პროცესს და ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის ჩართულობას, ამ მიმართულებით, შეიძლება მიჩნეულ იქნას მხარდამჭერ დეპარტამენტად. უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას, რის საფუძველზეც განისაზღვრება პროფესიული განვითარების შესაბამისი მიმართულებები. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, პერსონალის საჭიროებების შესაბამისად იგეგმება და ხორციელდება ტრენინგები და პროფესიული ღონისძიებები. განხორციელებული

სამეცნიერო პროექტები აჩვენებს კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის გუნდის მაღალ სამეცნიერო პოტენციალს. შეთავაზებულია, რომ დაიგეგმოს და მოხდეს პერსონალის მოტივირება, რათა აქტიურად იმუშაონ მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროში კვლევებზე, რომ შეიქმნას შესაბამისი სამეცნიერო პროდუქტი და განახორციელონ კვლევაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობა. რეკომენდებულია უნივერსიტეტის მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროს პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა წარმოდგენილი იყოს ყოველწლიურად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კითხვარი აკადემიური პერსონალისთვის;
- საერთაშორისო მობილობის სტატისტიკა;
- მემორანდუმები, ხელშეკრულებები;
- კვლევის მხარდაჭერის დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშები;
- საერთაშორისო კვლევებზე დაფუძნებულ პროექტებში მონაწილეობა;
- კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებული კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი და პროცედურა (2018 წ.).

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია დაიგეგმოს და მოტივაცია მიეცეს პერსონალს, რომ აქტიურად იმუშაონ კვლევებზე მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროს მიმართულებით, რათა შეიქმნას შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომები და შესაძლებელი იყოს კვლევაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☑			

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აშკარაა განხორციელებული ინვესტიციები შენობის განახლებასა და ახალი ინვენტარით აღჭურვაზე. სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ მართვა უზრუნველყოფილია 63 სალექციო დარბაზით, საკონფერენციო დარბაზით, რეკრეაციული, ადმინისტრაციული, ჯგუფური მუშაობისთვის საჭირო სივრცეებით, სანიტარული ობიექტებით, ბიბლიოთეკით (265 კვ.მ.), ლაბორატორიებით, არქივით, 2 კაფეტერიით და ა.შ. კავკასიის ბიზნეს სკოლას აქვს ოთხი ოთახი სტარტაპ აქსელერატორისთვის, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე აღჭურვილობით, მაგალითად, ვირტუალური რეალობის (VR) ტექნოლოგიით, ჭკვიანი დაფით და ა.შ. უნივერსიტეტში არის ელექტრომომარაგების ეფექტური სისტემა, დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, მუდმივი განათება და ვენტილაცია, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.
კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს და ინახავს სამაგისტრო პროგრამის შესაბამის, საკმარისი რაოდენობის, ბეჭდურ და ელექტრონულ წიგნად ფონდს, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სტუდენტებს ასევე აქვთ წვდომა სხვადასხვა საერთაშორისო ელექტრონულ რესურსზე: EBSCO HOST, ScienceDirect , Scopus, Sci-val Funding (Funding Institutional), HeinOnline, Taylor and Francis, Math Scientific Publishing (MSP)-ჟურნალები.
აუდიტორიები და კომპიუტერული ოთახები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით. უნივერსიტეტში გამოიყენება ელექტრონული სისტემა სტუდენტების ცოდნის შესაფასებლად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის. აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე ნამდვილად შეიძლება დადებითად შეფასდეს.

შეხვედრების დროს, როგორც სოციალურმა პარტნიორებმა, ასევე მსგავსი სასწავლო პროგრამის სტუდენტებმა ისაუბრეს ტურიზმისა და მასპინძლობის დაჯავშნის სისტემის გამოყენების უნარების პრაქტიკულად შეძენის აუცილებლობაზე, რისი განხორციელებაც შესაძლებელია ტურიზმსა და მასპინძლობაზე ორიენტირებული კომპიუტერული ოთახის სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მატერიალური და ტექნიკური რესურსები;
- საერთაშორისო ბიბლიოთეკებთან და აკადემიურ მონაცემთა ბაზებთან წვდომა;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სამომავლოდ, პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია ტურიზმისა და მასპინძლობის ლაბორატორიის შექმნაზე დაფიქრება, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს ტურიზმისა და

მასპინძლობის სტარტაპების, ტურიზმის კვლევის, სექტორში ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობისთვის.

- სასწავლო პროგრამის გამდიდრება ტურიზმისა და მასპინძლობის დაჯავშნის სისტემ(ებ)ის სასწავლო პროგრამული უზრუნველყოფით.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.4. მატერიალური რესურსი	☑			

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის მასპინძლობისა და ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი დამტკიცდა 2022 წლის 25 ოქტომბერს (ბრძანება No.03/01-05). აღნიშნული ბიუჯეტის მიხედვით, სასწავლო პროგრამის განხორციელება არის მიღწევადი და პრაქტიკულად შესაძლებელი. ფინანსური გამოთვლები ეფუძნება: საკონტაქტო საათების რაოდენობას; სასწავლო კურსების რაოდენობას; საგაკვეთილო საათების ანაზღაურებას; სტუდენტის მატერიალურ მხარდაჭერას სასწავლო პროცესში; უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხარჯებს; პროგრამის შემუშავების / აკრედიტაციის / ინტერნაციონალიზაციის ხარჯებს; პროგრამის განხორციელების გაუთვალისწინებელ ხარჯებს. ჯგუფის წევრები მიესალმებოდნენ, აკადემიური პერსონალისთვის სამოტივაციო სისტემის შემუშავებას, რათა გაიზარდოს სამეცნიერო პროდუქტიულობა. მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროში სამეცნიერო პროდუქტიულობის ასპექტი ნახსენები იყო ქვეთავებში 4.1. და 4.3.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია გათვალისწინებულ იქნეს აკადემიური პერსონალის სამოტივაციო სისტემა, რომელიც გაზრდის სამეცნიერო პროდუქტიულობას მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროში.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☑			

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის მომსახურებას და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესის განხორციელების დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს სისტემურ გამოკითხვებს და შეფასებებს სასწავლო გეგმის, მომსახურებებისა და რესურსების

შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყურადღებას ამახვილებს სემესტრულ და ყოველწლიურ გამოკითხვებზე; ეფექტური მონიტორინგის შენარჩუნებისა და განვითარების ტენდენციების გამოსავლენად, შეფასების შედეგების გაანალიზების მიზნით, ჩართული ჰყავს ყველა დაინტერესებული მხარე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და სააკრედიტაციო ვიზიტისას გამოვლენილი მიგნებების მიხედვით, პროგრამის შეფასება თანმიმდევრულია და შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) პრინციპზე. პროგრამის შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის პერსონალის ინკლუზიურობას, რომელიც თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან და იზიარებს მის პრინციპებსა და მექანიზმებს, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სათანადო შიდა ხარისხის შეფასება.

სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულნი არიან ხარისხის შიდა შეფასების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს და ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, რათა უზრუნველყოს შეფასების კონსტრუქციული პროცესი; შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიში მზადდება ერთობლივად, განსაკუთრებით აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური ჩართულობით.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესში, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად კოორდინირებას უწევს სუსტი მხარეებისა და გამოწვევების გამოვლენას. ხარისხის შიდა შეფასების პროცესში გამოიყენება საჭიროებასა და აუცილებლობაზე დაფუძნებული შეფასების გამოკითხვები, რათა მიზანმიმართულად გამოვლინდეს პრობლემები და უზრუნველყოფილი იყოს ჩარევა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ეს გამოკითხვები მიმართულია სტუდენტების საჭიროებებისა და სურვილების გამოვლენისკენ. ასევე, სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების ყოველწლიური გამოკითხვები ტარდება პროგრამის ზოგადი ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.
წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებებმა, ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფას უნივერსიტეტში სერიოზულად აღიქვამენ. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა მოქნილია ახალი რეალობისა და ტენდენციების მიმართ, რაც უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების პროცესისთვის შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტების სწრაფ და ეფექტურ ადაპტაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☑			

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტში ხარისხის გარე უზრუნველყოფა ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების გზით, რასაც ატარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE). უნივერსიტეტი განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს, მიგნებებს კი წარუდგენს სკოლებს. ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი უზრუნველყოფს მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად განვითარებას; მხედველობაში მიიღება განმავითარებელი შეფასების შედეგები. რამდენადაც პროგრამა ახალია, მმართველი ხელმძღვანელობა გამოხატავს მზაობას, რომ გაითვალისწინოს ყველა მიგნება და ეფექტურად გამოიყენოს შემდგომი განვითარებისთვის.
უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები პერიოდულად ფასდება გარე ექსპერტების, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების მიერ. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის პროგრამა მომზადდა ადგილობრივი ექსპერტების გამოცდილებისა და პოზიციების გათვალისწინებით, შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნა დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებთან შესაბამისობა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის პროფესორებმა მცირე რეკომენდაციების მიუხედავად პროგრამა დადებითად შეაფასეს, ასევე ხაზი გაუსვეს მის პერსპექტივებსა და მნიშვნელობას დარგში კვალიფიციური პროფესიონალების მომზადების კუთხით, დადებითად იქნა შეფასებული სწორი ბალანსის დაცვა თეორიული ცოდნის დაგროვებისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავების მხრივ, ასევე, პროგრამის პერსონალი და სწავლების მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გარე ექსპერტების შეფასების ანგარიშები;
- ბენჩმარქინგის დოკუმენტი;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	☑			

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და სერვისის გაუმჯობესებისთვის, კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს უწყვეტ მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვების განხორციელების მთავარ საშუალებას. მონიტორინგის პროცესი ეფუძნება გამჭვირვალობისა და გაზიარების, ასევე თანამონაწილეობის, უწყვეტობის, აკადემიური კეთილსინდისიერების, თავისუფლებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს, სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით. თუ სტუდენტთა გამოხმაურება დაბალია წარმომადგენლობითი შედეგების მისაღებად, მაშინ შედეგების ვალიდურობის უზრუნველსაყოფად ტარდება ფოკუს ჯგუფები. საჭიროებებზე დაფუძნებული შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გაუმჯობესებული მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შეფასების პროცესის

შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

ყოველი სემესტრის დასასრულს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და სეგრეგირებული მონაცემები სკოლების მიხედვით განიხილება სკოლის საბჭოების მიერ. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები აფასებენ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ სერვისებს, კვლევის კომპონენტების განხორციელებას, ასევე პროგრამის განხორციელებას მთლიანობაში. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად და საჭიროების შემთხვევაში, მისი მოდიფიკაციისა და გაუმჯობესებისთვის.

ორივე დაწესებულების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად, გამოვლინდა რომ არსებობს მოლოდინი, მეტად იყვნენ ჩართული გამოცდილების გაზიარების მიზნით. აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ფორმალური და/ან არაფორმალური შეხვედრების ორგანიზება უზრუნველყოფს გამოცდილების, უნარებისა და ცოდნის გაზიარებას, რაც დაეხმარება პროგრამას შემდგომ განვითარებაში.
უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას საუკეთესი პრაქტიკისთვის, რათა განავითაროს კონკურენტული პროგრამა. პროგრამა იზიარებს 24 წამყვანი უნივერსიტეტის გამოცდილებას. დაფიქსირდა მრავალი საერთო კურსი და მახასიათებელი, რომელმაც გავლენა მოახდინა პროგრამის შემუშავების პროცესზე და აერთიანებს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ პრაქტიკას და მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გარე ექსპერტების შეფასების ანგარიშები;
- სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის დოკუმენტი;
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.3. პროგრამის მონიტორინგი და	☑			

პერიოდული შეფასება

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	☑			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.	☑			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თ

ალინა კატუნიან, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

დავით სიხარულიძე, ხელმოწერა

თამთა ცხოვრებაძე, ხელმოწერა

დავით ტეფნაძე, ხელმოწერა